საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 სამშაბათი 5 ივნისი №66 (10303) ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

## ისევ ჩაის შესახებ

რაიონის სოფლის მეურნეობის ნაერთ მოცულობაში ჩაი გადამწყვეტია და იგი 75 პროცენტს შეადგენს, ხოლო რეალიზაციით მიღებული მოგებიდან ჩაი იძლევა 85 პროცენტს. ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით იწარმოება 8.000 მანეთის პროდუქცია.

მიმდინარე წლისათვის რაიონში ირიცხება 8150 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, აქედან მოსავლიანია 7283 ჰექტარი. ჩაის ნედლეულს აწარმოებს ოცდაცხრამეტი საზოგადოებრივი მეურნეობა. შარშანწინ დამზადდა 62890 ტონა, ხოლო შარშან 68676 ტონა ნედლეული, ანუ საქართველოში დამზადებულის 15 პროცენტი.

თუ კი მეცხრე და მეათე ხუთწლედებში მზადდებოდა საშუალოდ 55 ათასი ტონა, მეთერთმეტე ხუთწლედში შეადგინა 75,0 ათასი ტონა. 1987 წელს დამზადდა 79754 ტონა და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ მიაღწია საშუალოდ 10 ტონას, მაშინ როდესაც რესპუბლიკის საშუალო იყო 8, ხოლო საზღვარგარეთის კლასიკურ ქვეყნებში მხოლოდ 6-7 ტონა.

ჩაის ნედლეულის წარმოების ასეთმა მაღალმა დონემ, გამოიწვია მეჩაიეთა მიერ აკრძალული ხერხებით და იარაღებით მკაცრი კრეფა, რამაც უარყოფითად იმოქმედა ბუჩქების განვითარებაზე და დააჩქარა მათი ბიოლოგიური სიბერე, დააქვეითა ნედლეულის ხარისხი, პროდუქტიულობა და ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა.

დაბალი ხარისხისა და ნედლეულის უხეშად კრეფის გამო მეჩაიეობაში მდგომარეობა საგანგაშო შეიქმნა. ჩაის ხარისხის გაუმჯობესებაზე პირველმა ხმა აღიმაღლა ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ, იყო სათანადო დადგენილებებიც, მაგრამ სამწუხაროდ, მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

„ჩაის წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება — წარმოების გეგმების შემცირებისა და სხვა ღონისძიებების გათვალისწინებით, თითქოს იმედის მომცემი იყო, მაგრამ გაშენება—აღდგენის გეგმების შესრულება იყო შეუძლებელი, რადგან ჩაის ახალ პლანტაციებს უნდა დათმობოდა სამარცვლე და საკვები კულტურების ფართობი, ტყე-ბუჩქნარები, რაც რაიონის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფას ხელს შეუშლიდა და ეკოლოგიურადაც გამართლებული არ იყო.

ამიტომ, აუცილებელია ჩაის ნედლეულის წარმოების, გადამუშავება-დაფასოების, ახალი პლანტაციების გაშენება—აღდგენის, ამორტიზირებული პლანტაციების ამოძირკვის, მძიმე და ნახევარმძიმე გასხვლის ჩატარების გეგმებში კორექტირების შეტანა, რაც ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის რესპუბლიკის მეჩაიეობის განვითარების კონცეფციაში.

მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარების 1991-2005 წლების რესპუბლიკური პროგრამა—კონცეფციის განხილვა ამჟამად მიმდინარეობს რაიონის ჩაის მწარმოებელ საზოგადოებრივ მეურნეობებში და ჩაის გადამამუშავებელ საწარმოთა კოლექტივებში. მათგან მიღებული დასკვნა წინადადებების მიხედვით უნდა შემუშავდეს რაიონის ჩაის პროგრამა-კონცეფცია, სადაც ჩვენი აზრით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

1991-2005 წლებში ხარისხოვანი ჩაის წარმოება რაიონში ყოველწლიურად უნდა დაიგეგმოს 62-65 ათასი ტონა და საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა არ უნდა აღემატებოდეს 7-8 ტონას.

ჩაის ახალი პლანტაციების უხვმოსავლიანი ჯიშებით გაშენება და აღდგენა უნდა მოხდეს მოსახლეობასთან შეთანხმებით და იმ მასშტაბით, რომ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უზრუნველყონ მეჩაიეობის დარგის ეკონომიკური განმტკიცება სხვა დარგებთან შეთანაწყობით.

გაუმჯობესდეს მოსავლიანი და განსაკუთრებით ახალგაზრდა პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარება ნიადაგობრივი და მცენარის ბიოლოგიური თვისებების გათვალისწინებით.

მეთორმეტე და მეცამეტე ხუთწლედში, აუცილებლობის შემთხვევაში მთლიანად დამთავრდეს ამორტიზირებული პლანტაციების ამოძირკვა, ამასთან პარალელურად გაგრძელდეს მძიმე და ნახევარმძიმე გასხვლები ვარჯის განახლება-გაძლიერებისათვის, ბუჩქის ინტენსიური ვეგეტაციისა და ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით შესწავლილ იქნას მინერალურ სასუქებზე მოთხოვნილება ნიადაგობრივი პირობებისა და ჯიშების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდა, მძიმედ და ნახევარმძიმედ განასხლავი პლანტაციების ორგანული სასუქებით უზრუნველყოფას (ნაკელი, ტორფი).

მავნებლებთან ბრძოლა განხორციელდეს მხოლოდ ბიოლოგიური მეთოდით, ხოლო სარეველას და დაავადებების მიმართ გამოყენებულ იქნეს ეკოლოგიურად სუფთა პესტიციდები და ჩატარდეს ფიზიკურ-მექანიკური ღონისძიებანი.

მკრეფავთა დეფიციტის შემთხვევაში სრულყოფილად დაინერგოს მექანიზაცია. მექანიზაციის გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში საბოლოოდ უნდა გადაწყდეს გამოშვებული მანქანებისა და აპარატების დამზადების ხარისხი, შერჩევითი კრეფის პრინციპებით, მცენარეთა უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირებით.

მეჩაიეთა და საზოგადოებრივი მეურნეობების მატერიალური დაინტერესება მოხდეს ჩაის მოვლის და კრეფის ტექნიკური პირობების დაცვის გათვალისწინებით. ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის კრეფით მიღწეულ იქნას კონკურენტუნარიანი მზაპროდუქციის გამოშვება.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს მომავალშიც იჯარის კოოპერატივების, აგროფირმებისა და კომბინატების შექმნა—დანერგვა.

დარგის ტექნიკური პროგრესის დაჩქარების უზრუნველსაყოფად დამყარდეს საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა და მიღწეულ იქნას საზღვარგარეთისა და კავშირის მასშტაბით ერთობლივი საწარმოების შექმნა, ზეგეგმიური პროდუქციის რეალიზაციით ჩატარებულ იქნას ფეგმა-ზომიერი და აუცილებელი გაცვლითი ოპერაციები.

მეცნიერებისა და ჩაის მწარმოებელი მოწინავე ქვეყნების მიღწევებიდან გამომდინარე დანერგილ იქნას ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების ახალი, უნარჩენო ტექნოლოგია.

განხორციელდეს მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მათი სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. ყველა ზომა იქნეს მიღებული ჩაის ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისათვის.

რამდენიმე სიტყვით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარე სეზონზეც: 30 მაისისათვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მოკრეფილია 4459 ტონა, რაც გასულ წელთან შედარებით 7185 ტონით ნაკლებია. ამასთან მოკრეფილ ნედლეულში 1200 ტონა მეორე ხარისხისაა, მაშინ როდესაც გასულ წელს მეორე ხარისხის ნედლეული სულ არ იყო დამზადებული. როგორც ჩანს კრეფის ტემპი და ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სასტიკად უნდა აკრძალონ სხვადასხვა იარაღებითა და ხერხებით კრეფა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ ჩაის, რომელიც ესოდენ აუცილებელია ჩვენი ეკონომიკისა და დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომი პრესტიჟისათვის.

ვ. ფიფია,
რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

---

1990 წლის 5 ივნისს ს—გ „საქქალაღმრეწვის“ კულტურის სასახლეში გაიმართება შემოქმედებითი საღამო ზუგდიდელ ავტორთა და მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით.

საღამო ჩაიწერება და გადაიცემა საქართველოს ტელევიზიით.

დასაწყისი 19 საათზე.

---

### საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ადგილმრეწველობის სამინისტროს ზუგდიდის სარაიონთაშორისო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

### მ. მ. ყალიჩავას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

შეიქმნა მ. მ. ყალიჩავას დამკრძალავი კომისია: ო. ზ. ჭითანავას (თავმჯდომარე), კ. ა. წურწუმიას, ჯ. შ. შენგელიას, ზ. რ. ქარჩავას, მ. გ. [illegible]ბიას, გ. დ. ჩაჩაიას, შ. ა. გარდავას შემადგენლობით.

---

### მ. მ. ყალიჩავას დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 7, 8 ივნისს, განსვენებულის ბინაში (სოფელი ინგირი, გამარჯვების ქ. №38). დაკრძალვა 9 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲐᲙᲐᲙᲘ—150

# ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1889 წლის 25 მარტს სცენისმოყვარე ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა ნიკოლოზ ბუკიას ხელმძღვანელობით ქ. ლუკავას სადურგლო სახელოსნოს დარბაზი დაიქირავეს და წარმოადგინეს გ. ერისთავის პიესის „გაყრის" თეატრალური დადგმა.

ეს იყო პირველი ოფიციალური თეატრალური დადგმა ზუგდიდში, რომლის მიზანი იყო:

1. თეატრალური განათლების შეტანა ზუგდიდის მოსახლეობაში, 2. ეკონომიკური ბაზისის შექმნა სახალხო სამკითხველოსათვის.

აქამდე ჟურნალ-გაზეთებს ზუგდიდელი ახალგაზრდობა კითხულობდა ტ. თოხაძის სტამბაში, სადაც გამოწერილი იყო თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი.

სტამბაში სამკითხველოს როლს ასრულებდა ოთახის კუთხეში მიდგმული გრძელი მაგიდა, სადაც დალაგებული იყო პერიოდული პრესა.

თეატრალურმა დადგმამ ხარჯების გასტუმრების შემდეგ დატოვა 125 მანეთი, რომელიც გაიხარჯა მაგიდის, ტაბურეტების, გრაფინის, ჭიქისა და რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის გამოწერაზე.

ტ. თოხაძე იყო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი და მან სტამბაში ერთი პატარა ოთახი დაუთმო ახალგაზრდა ენთუზიასტებს სამკითხველოს გასამართავად. ახალი სამკითხველოს კუთვნილება იყო უკვე ორი ცალი „ივერია", ორი „კვალი", ორი „ცნობის ფურცელი", ერთი „კავკაზი" და ერთიც „ნივა". სამკითხველოში თანდათან გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. საჭირო გახდა უფრო დიდი ოთახის დაქირავება.

ახალგაზრდებმა დახმარების ხელი თხოვეს შეძლებულ ვაჭარს ს. აბესაძეს, რომელმაც მოიწვია ვაჭართა კრება და განიხილა სამკითხველოს გახსნის საკითხი. კრების მონაწილენი მკითხველთა სიაში

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ჩაეწერნენ, არჩეულ იქნა გამგეობა 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

სამკითხველოს თითოეული წევრი თვეში იხდიდა 20 კაპიკს. კრებაზე დაისვა აგრეთვე საკითხი იმის თაობაზე, თუ ვისი სახელობისა უნდა ყოფილიყო სამკითხველო.

ს. აბესაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სამკითხველოს დარქმეოდა გზათამშენებლობის მინისტრის სილიკოვის სახელი, რომელიც ხელს შეუწყობდა ზუგდიდელებს ქალაქში რკინიგზის ხაზის გაყვანაზე.

ნიკოლოზ ბუკიამ წამოაყენა წინადადება, რომ სამკითხველო აკაკი წერეთლის სახელობისა ყოფილიყო.

გაიმართა კენჭის ყრა, სადაც ნიკოლოზ ბუკიას წინადადება გავიდა. სამკითხველოს წიგნადი ფონდი და მკითხველთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა შემოწირულობებისა და საწევრო ანარიცხების, აგრეთვე თეატრალური დადგმების ხარჯზე.

ასე მოაღწია ბიბლიოთეკამ 1908 წლამდე. „1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში გაიმართა აკაკის იუბილე. აკაკის მრავალი კუთხიდან მოუვიდა მისალოცი დეპეშები" (ნ. ალანია) აკაკის იუბილე ჯერ საქართველოს დედაქალაქმა გადაიხადა. ეს მოხდა 1908 წლის 7 დეკემბერს" (ლ. ასათიანი).

ზუგდიდის საზოგადოების საკრებულო დარბაზში მოწვეულმა კრებამ დაადგინა ჩატარებულიყო აკაკის საღამო ორ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში წაიკითხეს მოხსენება აკაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ხოლო მეორე განყოფილებაში დაიდგა პიესა „პატარა კახი". სხდომის გადაწყვეტილებით საიუბილეო საღამოზე შემოსული თანხა, რომელმაც 900 მანეთი შეადგინა, უნდა მოხმარებოდა სამკითხველოსათვის საკუთარი შენობის აგებას.

საქველმოქმედო საზოგადოებამ ცალკე დაიწყო შემოწირულობების შეგროვება, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" განყოფილებამ არ დააკლო ზრუნვა თანხის შეგროვებას და აი, 1912 წლის დასაწყისისათვის ზუგდიდის შუაგულში აიგო აგურის შენობა ბიბლიოთეკისათვის.

1912 წლის 6 მაისისათვის დაინიშნა ბიბლიოთეკის გახსნა, გაიგზავნა დელეგაცია დიდი მგოსნის მოსაყვანად.

ამ დღისათვის მოწვეული აკაკიც გამოემართა ზუგდიდისაკენ, შეიტყო თუ არა ხალხმა აკაკის გამომგზავრების ამბავი, ფეხზე დადგა, გამოიყო კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა დიდი მგოსნისათვის შეხვედრის ორგანიზაცია, კომისიაში შედიოდნენ ი. მუჯირი, ნ. ბერაძე და ნ. დავითაია.

დილის 10 საათზე ეტლით მომავალ მგოსანს სოფელ ცაიშში უამრავი ხალხი შეეგება... გზადაგზა იმართებოდა მიტინგები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აღფრთოვანებული სიტყვებით მიმართავდა მგოსანს, ხოლო ეტლს, რომელშიც პოეტი იჯდა, დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ.

სოფელ ქითაწყართან მგოსანს მოზრის ქალთა დელეგაცია შეეგება. სიტყვით მიმართა პოეტს დელეგაციის მეთაურმა იუსტინა კობახიძემ, მანვე გადასცა სტუმარს ქალთა საზოგადოების მიერ შედგენილი ძვირფასი საჩუქარი.

ქალაქის შესასვლელთან აკაკის დახვდა ნ. ბერაძის პატარა გოგონა, რომელმაც ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული „ლირა მიართვა და სიტყვაც უთხრა.

11 საათზე აკაკიმ ნ. ბერაძის სახლში დაისვენა, ხოლო 12 საათზე იგი მიიწვია მისმა ნათესავმა ნიკოლოზ დადიანმა მინგრელსკიმ. მალე აკაკი ნ. დადიანისა და კომისიის წევრების თანხლებით მოვიდა სამკითხველოში. სამკითხველოს აღმოსავლეთის კედელზე ეკიდა დაფნის გვირგვინებში ჩამჯდარი დიდი ფერწერული პორტრეტი პოეტისა",—წერს თავის მოგონებაში სოლომონ ცაიშვილი.

„აკაკი სამკითხველოს შუაგულ დარბაზში იდგა,—აგრძელებს ს. ცაიშვილი,—როცა ე. შენგელაიამ სიტყვა დაამთავრა და სამკითხველო გახსნილად გამოაცხადა. პოეტი ტაშის ცემით აიყვანეს ხელში.

სიტყვა წარმოსთქვა გაზეთ „დროების" ძველმა თანამშრომელმა, ილიასა და სერგეი მესხის მეგობარმა, პუბლიცისტმა და „ვეფხისტყაოსნის" ცნობილმა მკვლევარმა დავით ჩქოტუამ. ამის შემდეგ გამოვიდნენ მასწავლებელი ნ. ბუკია, ექიმი ი. მუჯირი, კ. კობახიძე და სხვები.

„დავით ჩქოტუას სიტყვა ნამდვილი ლექცია იყო აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე"—წერს ს. ცაიშვილი. ბიბლიოთეკასა მკითხველოს ეწოდა აკაკი წერეთლის სახელი. ამით საიუბილეო სხდომა დამთავრდა.

გაიმართა ხალხმრავალი სადილი, სადაც ბუნებრივია, გრძელდებოდა საუბარი მგოსნის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ქართული კულტურის განვითარების გზებზე.

საინტერესოა გავეცნოთ დეპეშის ტექსტს, რომელიც სადილის დროს მოიტანა ფოსტალიონმა:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" გულმხურვალედ ეგებება და გილოცავთ სახალხო ბიბლიოთეკის გახსნას სასიხარულო მოვლენას, დაე, იყოს ცოდნის გამავრცელებელი და დაქსაქსულ ძალთა შემაკავშირებელი დუღაბი".

სადილის შემდეგ აკაკი ნიკოლოზ დადიანმა და მისმა მამიდამ სალომე მიურატისამ შინ მიიპატიჟა.

ი. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

# ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

28 მაისს, დილის პირველ საათზე, სოფელ ოქტომბრის მოსწავლე-ახალგაზრდობა შეიკრიბა კულტურის სახლში, სადაც მოხსენება თემაზე: „საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა"—გააკეთა საშუალო სკოლის დირექტორმა გ. წოწერიამ. მან აღნიშნა: „დღევანდელმა თაობამ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, უნდა იცოდეს საკუთარი ქვეყნის ისტორია, უნდა იცოდეს, რომ ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა ბრძოლით მოიპოვეს სანუკვარი თავისუფლება და ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ პატივი მივაგოთ იმათ, ვინც თავისუფლება მიანიჭა მშობლიურ საქართველოს, მის ერს".

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერაბ კოსტავას ნათელ ხსოვნას.

სოფლის № 1 და № 2 საბავშვო ბაღის (გამგეები ა. პერტაია, ჟ. ფიფია) აღსაზრდელებმა წარმოადგინეს საინტერესო კომპოზიციები. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ე. ფეტელავა, ც. მაქაცარია, რ. კვარაცხელია, ს. წოწერია თ. ქირია. ასევე საინტერესო ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიციებით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე არასრული საშუალო სკოლისა (დირექტორი ს. კინწურაშვილი) და საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ამავე დღეს დაისვა საკითხი სოფლის სახელწოდების შეცვლისა და სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ, რაც უახლოეს დღეებში ხალხთა მოთათბირებისა და დიალოგის შემდეგ გადაწყდება.

მ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ,
ე. ᲣᲒᲘᲚᲐᲕᲐ.

# ᲚᲔᲥᲪᲘᲐ - ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

30 მაისს შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ქალაქის იდეოლოგიური სამსახურის ინიციატივით მოეწყო ლექცია-დიალოგი თემაზე—„ქართველი ემიგრანტები და ემიგრანტული ლიტერატურა".

ლექცია-დიალოგი შესავალი სიტყვით გახსნა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა პ. მიქაიამ. იგი სიტყვას აძლევს ცნობილ ქართველ მეცნიერს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ შარაძეს, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გაუკეთა უცხოეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას და ემიგრანტული ლიტერატურის გამოცემის პრობლემებს.

ლექცია-დიალოგი საინტერესო გახდა იმითაც, რომ მასში მონაწილეობა მიიღო დამსწრე აუდიტორიის უმეტესმა ნაწილმა. მრავალი შეკითხვა დაუსვეს ლექტორს დამსწრეებმა. ყველა მათგანს ამომწურავი პასუხი გასცა პროფესორმა გურამ შარაძემ.

ლექცია-დიალოგმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მისმა მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი ანალოგიური ხასიათის ღონისძიებები ჩატარდეს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

# ᲘᲛᲙᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲜᲐᲧᲝᲤᲡ

დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებისათვის ზრუნვა კარგ ტრადიციად დამკვიდრდა პროგრესული მეთოდით მომუშავე კოოპერატიულ საწარმოო—ზუგდიდის სარემონტო მექანიკური კომბინატის კოლექტივში (თავმჯდომარე ა. ქურულორია). უკვე ერთი წელია კომბინატი მეურვეობას უწევს ქალაქ ზუგდიდში მცხოვრებ გ. ფიფიას მრავალშვილიანი ოჯახის მეხუთე ვაჟიშვილს—პატარა ზურაბის, რომელსაც ყოველთვიურად 80 მანეთს უხდის. დემოგრაფიულ საზოგადოებას კი 25 ათასი მანეთი გადაურიცხა კოლექტივმა.

ასევე საგრძნობი ფულადი დახმარება ეძლევათ საწარმოში მომუშავე მრავალშვილიან ოჯახებს. ოთხ და ხუთ შვილიანებს ყოველთვიურად ეძლევათ შესაბამისად 80-100 მანეთი, ახალდაქორწინებულებს კი ერთდროულად 500-500 მანეთი. შესაძლებლობიდან გამომდინარე, ახლახან საწარმოს გამგეობის სხდომაზე გადაწყდა სამშვილიანთათვის დახმარების სახით ყოველთვიურად გაიცეს 60-60 მანეთი. ასევე ახალგაზრდების კეთილდღეობისა და, საერთოდ, დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებისათვისაა გამიზნული 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც ალბათ სულ მალე უნდა განახლდეს.

შრომობს, ილვწის კომბინატის კოლექტივი და იმკის კიდევაც კეთილ ნაყოფს, უყურადღებოდ არ ტოვებს ერის საკეთილდღეოდ გამიზნულ საქმეებს.

ა. ᲓᲐᲑᲐᲠᲑᲣᲚᲘᲐ,
კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

## ᲜᲔᲢᲐᲕᲘ ᲓᲔᲓᲐᲡ, ᲨᲕᲘᲚᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲐ!

საქართველოში ღვთის მადლით, მრავლადაა მრავალშვილიანი ოჯახები, მაგრამ არც იმდენი, რომ ზრდის თვალსაზრისით გავუსწროთ ჩვენს მეზობელ ერებს.

ამიტომაცაა, რომ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას. ყოველი მრავალშვილიანი ოჯახი საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. სწორედ აქაც გამოჩნდება ჩვენი მამულიშვილური მისია.

ეს ერთხელ კიდევ გამოიკვეთა 10 მაისის გაზეთ „მებრძოლში" (ამჟამად „ოდიში") გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „გაიხარებს ქართვლის დედა", სადაც მოთხრობილია ახალაბასთუმნელ გულუების მრავალშვილიან ოჯახზე, მათ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე.

## ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲕᲣᲬᲔᲕᲗ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ

წერილის ავტორი შეგვახსენებს, რომ ამ ოჯახს სჭირდება მეტი ყურადღება, დახმარების ხელი, ქველმოქმედებისაკენ აქეზებს საზოგადოებას.

ასეთი რამის შეხსენება არც უნდა გვჭირდებოდეს, მაგრამ ჩვენს რთულსა და დაძაბულ დროში არც ისე ხშირია ქველმოქმედების ფაქტები.

ჩვენ ადრეც გამოვთქვით სურვილი დახმარებისა, გავუგზავნეთ შეტყობინებაც გულუების ოჯახს, რომ მობრძანებულიყვნენ და გავუწევდით უფასო მკურნალობას, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს დღემდე ჩვენთან მოსვლა.

ამჯერად გადავწყვიტეთ, ადგილზე გავუწიოთ მკურნალობა გულუების ოჯახს. მივავლენთ ექიმს მათთან და ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენზე დამოკიდებულს.

საქვეყნო მადლი არ იკარგება. საზოგადოების ვალია, ვისაც რითი შეუძლია თანადგომა გაუწიოს მომმეს.

ა. ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲐ,
სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გენუელთა სავაჭრო ფაქტორია ცხუმში მე-14 – მე-15 საუკუნეებში

ქართველთა წინაპრებმა შავი ზღვა ჯერ კიდევ ნეოლითში აითვისეს. ამ ეპოქიდან მათ საზღვაო ურთიერთობა დაამყარეს თავიანთ უშუალო მეზობლებთან, ასე რომ, საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიას ორმოც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

შავი ზღვა დახურული ზღვაა. იგი ბოსფორის სრუტით უკავშირდება ხმელთაშუა ზღვის აუზს. ამიტომ შავ ზღვაზე ვაჭრობის ხასიათი ყოველთვის დამოკიდებული იყო ამ სრუტის რეჟიმზე. ისტორიის ზოგ მონაკვეთში ეს სრუტე დახურული იყო არაშავიზღვისპირეთის ქვეყნების ხომალდებისათვის, ზოგჯერ კი პირიქით ყველა ქვეყნის გემებს შეეძლო ამ ზღვაში შემოსვლა.

ერთ-ერთ ასეთ ეპოქას წარმოადგენდა 1204-1475 წწ, როდესაც შავ ზღვაზე თავისუფლად დაცურავდნენ როგორც შავიზღვისპირეთის ქვეყნების, ისე არაშავიზღვისპირეთის ქვეყნებისა ვენეციის, გენუის, კატალონიის, ეგვიპტის და სხვათა სავაჭრო გემები. ამ ეპოქაში შავი ზღვა საერთაშორისო ვაჭრობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. ეს ზღვა იყო იმ საერთაშორისო სავაჭრო გზის მთავარი რგოლი, რომელიც შორეულ ჩინეთსა და ინდოეთს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდა.

მე-13—მე-15 სს-ში შავ ზღვაზე ვაჭრობაში მთავარ როლს იტალიის ქალაქ-რესპუბლიკა გენუა თამაშობდა, რომელმაც თავისი სავაჭრო ფაქტორიები დააარსა შავი ზღვისპირეთის ყველა რეგიონში. შავიზღვისპირეთში გენუელთა მთავარი სავაჭრო ფაქტორია იყო ყირიმში, დღევანდელ ფეოდოსიაში, რომელსაც მაშინ კაფა ეწოდებოდა. ერთი სავაჭრო ფაქტორია გენუელებს საქართველოს ზღვისპირეთშიც გააჩნდათ. ეს იყო ქალაქ ცხუმში, რომელსაც დასავლეთ ევროპიელები მე-13—მე-15 სს-ში სევასტოპოლს უწოდებდნენ.

ცხუმი იგივე ცხომი სვანურად რცხილას ნიშნავს. ასე უწოდებდნენ დღევანდელ სოხუმს ქართველები შუა საუკუნეებში. ეს უკანასკნელი სახელი ქართული ცხომის თურქული გახმოვანებაა. თურქულ ენაშიც ც—თანხმოვანი ხ-თანხმოვანით გადმოიცემა. ამავე დროს ეს ენა ვერ იტანს ერთად ორ თანხმოვანს და მათ შორის აუცილებლად ხმოვანი ჩნდება. ასე მივიღეთ ქართული ცხუმი-ცხომიდან თურქული სუხუმ-ი, სოხუმი, რომელიც მე-19 საუკუნეში ქართულ ენაშიც დამკვიდრდა მე-13—მე-15 სს-ში, აგრეთვე მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ცხუმი ოდიშის ერთ-ერთი მთავარი საზღვაო ქალაქი იყო. ოდიშში ამ პერიოდში ვრცელი ტერიტორია შედიოდა მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის მარჯვენა მხრიდან ანაკოფიის ანუ დღევანდელ ახალი ათონის ჩათვლით. ამ მხარეს საგანგებოდ დადიანთა საგვარეულოდან გამოსული ერისთავთ-ერისთავები განაგებდნენ.

მე-12—მე-15 სს-ის ცხუმი ანუ დღევანდელი სოხუმი ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული. ამას მოწმობს ამ ქალაქიდან ადგილობრივი კათოლიკე ეპისკოპოსის 1330 წ. ინგლისში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ეს საეკლესიო პირი აღნიშნავდა, რომ „არც ეკლესია და არც სახლი არ გამაჩნია... და ვცხოვრობ რომელიმე ღარიბი ქართველებისაგან შეწირულებას ვიღებ". საკუთრივ აფხაზები სოხუმთან დაკავშირებით მხოლოდ 1454 წლის ქვეშ იხსენიებიან. ამ წელს ისინი თავს დაესხმიან ამ ქალაქს და ხასტიკად აოხრებიათ.

ზემოთ მოხსენიებული კათოლიკე ეპისკოპოსი ადგილობრივი კათოლიკეების მღვდელმთავარი იყო, რომელთა დიდ უმეტესობას იტალიელები შეადგენდნენ. იტალიელები ცხუმში პირველად 1280 წ. არიან დამოწმებულნი, ამის შემდეგ მათი რაოდენობა ისე სწრაფად გაიზარდა რომ 1318 წ. რომის პაპმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მათ საგანგებო ეპისკოპოსიც კი დაუნიშნა.

გენუელთა სავაჭრო ფაქტორია ცხუმში 1354 წ. ასევე საქართველოს ხელისუფლების თანხმობით დაარსდა. ამ სავაჭრო ფაქტორიის პირველ კონსულად გენუის ხელისუფლებამ ვინმე ამბროჯიო და პიეტრო დანიშნა. 1354-1453 წწ. გენუის ხელისუფლება თავის სავაჭრო ფაქტორიას ცხუმში კაფის ადმინისტრაციის მეშვეობით განაგებდა. 1453 წ. გენუელთა ყველა სავაჭრო ფაქტორია შავიზღვისპირეთში მათ შორის ცხუმიც, „გენუის წმინდა გიორგის" ბანკის ხელში გადავიდა. თავდაპირველად ამ სავაჭრო ფაქტორიის ადმინისტრაცია კონსულის, მწერლისა და თარჯიმანისაგან შედგებოდა. ყველა ეს მოხელე გახამრჯელოს კაფას ადმინისტრაციისაგან იღებდა. მოგვიანებით ცხუმის გენუელთა სავაჭრო ფაქტორიაში თანამდებობის კიდევ ერთი პირი გაჩნდა. 1449 წლიდან ცხუმის გენუელთა კონსული გენუელების მიერ ამ ქალაქში შემოტანილ თუ გატანილ საქონლის ღირებულების ერთ პროცენტს ბაჟის სახით კრეფდა და აღებული თანხით თავსაც ინახავდა და საკონსულოს სხვა მოხელეებსაც.

შავიზღვისპირეთის სხვა სავაჭრო ფაქტორიებისაგან განსხვავებით გენუელებს ცხუმში თავისი შემოზღუდული კვარტალი არ გააჩნდათ. ისინი ნავსადგურის ახლოს ცხოვრობდნენ. აქვე იდგა მათი ეკლესია, რომლის ეზოში ისინი იკრიბებოდნენ საჭიროების შემთხვევაში.

გენუელთა სავაჭრო ფაქტორია ადგილობრივი ვაჭრობით დიდ მოგებას ღებულობდა. ერთ ნაწილს ის საქართველოს ხელისუფლებას გადასახადის სახით უხდიდა.

ცხუმში ოდიშის ერისთავთ-ერისთავს თავისი ზარაფხანაც გააჩნდა. აქ იჭრებოდა ფული, რომელსაც „ცხუმური თეთრი" ეწოდებოდა. ეს ფული ქართველ ვაჭრებს გენუელებთან და სხვა უცხოელ ვაჭრებთან აღებ-მიცემას უადვილებდა. გენუელთა სავაჭრო ფაქტორია ცხუმში 1475 წ. გაუქმდა.

**თამაზ ბერაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

მკითხველი შენიშნავს

## რაც ყოველდღე თვალში გვხვდება

რამდენად დასანანია, რომ ჩვენს საკოლმეურნეო ბაზარში ამ ბოლო დროს მომრავლდნენ სპეკულანტ-გადამყიდველები, ათასი წვრილმანით მოვაჭრენი. ეს „მოქალაქენი" ბაზარშივე იაფად იძენენ გასაყიდ პროდუქტებს და იქვე მამასისხლად ყიდიან გლეხკაცის ნაოფლარ-ნაამაგარს. ბაზრის ერთი კუთხე და ბაზრის წინ მიწისქვეშა გადასასვლელი სპეკულანტ-გადამყიდველთა თავშესაფრადაა გადაქცეული. ისინი მილიციის მუშაკის გამოჩენისას უმალ იფანტებიან, შემდეგ კი კვლავ გროვდებიან და აგრძელებენ ვაჭრობას.

ვინ უნდა იზრუნოს მათ ასალაგმავად? ვფიქრობთ, ეს უწინარესად საკოლმეურნეო ბაზრის ხელმძღვანელებისა და მილიციის ერთობლივი საზრუნავია.

და კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი. ჩვენი ქალაქი სისუფთავითა და სანიტარული წესრიგით თავს ვერ მოიწონებს. ქუჩების თუ სკვერების კი არა, ზოგიერთ ჩვენგანს საკუთარი სადარბაზოს უსუფთაობაც ნაკლებად აწუხებს. ამა რა უნდა მოვკითხოთ მოზარდს, როცა უფროსები საკუთარი ბინის ფანჯრებიდან თუ ლოჯიებიდან პირდაპირ ქუჩაში ისვრიან ქაღალდის ნაგლეჯებს და ათასგვარ ნაგავს. თუ „ჯარიმა" და შენიშვნა მიეცი, აქეთ გამოგედავებიან. სანიტარული წესრიგის დამრღვევთ მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი.

**ბ. ალშიბაია,**
შრომის ვეტერანი.

წერილი რედაქციას

## შრომა სათაკილო არ არის

ჩვენი თანაქალაქელი ქალბატონი მარო ნაჭყებია პროფესიით აგრონომი წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში. დღეს იგი დამსახურებულ პენსიაზეა. რვა ათეულ წელს გადაცილებულ ქალს ბოსტნეულის საყიდლად ბაზარში ვერ ნახავთ, მას საუკეთესოდ მოვლილი და გახარებული ბოსტანი აქვს საკარმიდამო ნაკვეთზე. ქალაქის ქალთა საბჭოს, რომელიც ყოველწლიურად აწყობდა მებოსტნეთა დათვალიერება-კონკურსს, არაერთხელ დაუჯილდოებია საპატიო სიგელებით. ამასწინათ ქალბატონმა მარომ წერილი გამოგვიგზავნა რედაქციაში, რომელსაც ვბეჭდავთ უცვლელად:

ამ წერილის დაწერას არ ვფიქრობდი, რომ გუშინ (22 მაისს), გზაზე არ შემხვედროდა ნაცნობი ქალი, რომელსაც სისურსათო ჩანთიდან მოუჩანდა ბაზარში ნაყიდი სხვადასხვა სახის მწვანილი, არადა, კარგად ვიცი, რომ ამ ქალბატონს საკმაოდ დიდი საკარმიდამო ნაკვეთი აქვს. მაშ, რაშია საქმე? მე ერთი დასკვნა გამომაქვს— ესირცხვილებათ შრომა. მახსენდება წინათ ოჯახში მოსული სტუმარი გადახედავდა ბოსტანს, ნახავდა საქათმეს და შემდეგ შეაფასებდა ოჯახის დიასახლისს. ახლა, ახლა ... არ ვიცი, ვინ რით ფასდება. ერთი კია, გაგაჩნდეს საკარმიდამო ნაკვეთი და მწვანილს ბაზარში ყიდულობდე ეს სირცხვილია. არ ვიცი, ეს სირცხვილი ვის როგორ სწავს, მაგრამ მე ასეთი აზრისა ვარ. ამასთან თუ ჩვენ, ჩვენსავე ნაკვეთზე მოვიყვანთ ოჯახისათვის საკმარის მწვანილს, ამით კონკურენციას გავუწევთ ბაზარს.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შრომა ჯანმრთელობის საწინდარია, მაშ, რატომ თაკილობენ ქალები შრომას, რატომ ხდება, რომ სხვისი მოიმედეობა მიაჩნიათ უფრო პრესტიჟულად, იმედი მაქვს ამ წერილს გამოეხმაურებიან ქალბატონები და ქალიშვილები, ამავე დროს ქალაქის ქალთა საბჭო ისევ აღადგენს თავის ტრადიციას, გაგრძელდება მებოსტნეთა კონკურსი-დათვალიერება.

**მარო ნაჭყებია,**
რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი.

## ბუნებასთან დამეგობრებული

ყველაზე ღირსშესანიშნავი ადგილი ჩვენს მშობლიურ ქალაქში ბოტანიკური ბაღია. აქ შვიდასოცამდე სხვადასხვა ჯიშის ეგზოტიკური ხე, ბუჩქი თუ ყვავილი ხარობს. ბოტანიკური ბაღი არა მარტო სამეცნიერო დაწესებულებაა, არამედ ის მშრომელთა დასვენების კერაცაა. ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისითაც დიდად სასარგებლოა, რადგანაც ეს მწვანე ადგილი ჟანგბადით მასაზრდოებელია ჩვენთვის.

ბოტანიკურ ბაღში თითქმის თორმეტი წელია მუშაობს მეცნიერ-მუშაკი ლარისა ევგრაფის ასული თირქია. ის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ბოტანიკურ ბაღში სამუშაოდ. გოგონა ბარავდა, წმენდდა, სხლავდა ვარჯებს... მუხლჩაუხრელ შრომაში და ბეჯით სწავლაში მიილია ხუთი წელი, მან საყვარელ საქმესთან მოუწყვეტლივ მიიღო უმაღლესი განათლება. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აგრონომ-დეკორატორი უფრო დიდ საქმეს შეეჭიდა. მისი ინიციატივით ოთხმოცდახუთამდე ჯიშის საკვლევი მცენარე იქნა შემოტანილი. სასელექციო ნაკვეთზე ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი აკვირდება მცენარის ბიოეკოლოგიურ თვისებებს. ლარისას ადვილად შეუძლია შეამჩნიოს მცენარეებში ცვლილებები (შეფერილობა, სურნელება, დაბუჩქვის ხასიათი, ფოთლის დეკორაციულობა და სხვ.). ასევე სწავლობს მცენარეების სამკურნალო თვისებებს.

ლ. თირქია აწყამად მუშაობს თემაზე,— „ბაღის იორდასალამის ბუთხუზა ფორმების ინტროდუქცია და მათი შესწავლა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის პირობებში".

გვჯერა, რომ ბუნებასთან დამეგობრებული ქალიშვილი სახელოვნად გააგრძელებს ბუნების ენის მცოდნე წინაპართა მდიდარ ტრადიციებს.

**ალ. ფაჩუაშვილი.**

## გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ძნელია წერო მეგობარზე, როგორც წარსულზე, როცა იგი წლების მანძილზე ავსებდა შენს ყოველდღიურ ცხოვრებას, გიწვდიდა თავის უღალატო მარჯვენას. წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მიმოზა გიორგის ასული ქუხილავა წავიდა ჩვენგან, წავიდა და თან გაიყოლა სიცოცხლის სიყვარული, აუხდენელი ოცნებები, ერთი წელია გვაკლია მის ახლო მეგობრებს მისი იუმორით სავსე საუბარი, პოეტური ნიჭი, ალერსით სავსე თვალების შუქი.

მძიმე ავადმყოფობა ულრღნიდა სხეულს. ჯერ კიდევ ახალგაზრდას, მაგრამ მაინც მხნედ გრძნობდა თავს, ვერ ნახავდით ბედისაგან მომდურავს. მხოლოდ ერთხელ იყო, მწარედ რომ დასცდა: „დავალ ქვეყანაზე როგორც განძარცვული, ღმერთო, დააჩქარე ჩემი აღსასრული".

მუდამ გვემახსოვრება ჩვენი მიმოზა სათნო და კეთილი, ჭკვიანი და გონიერი, ნამდვილი მეგობარი, ამტანი და გამტანი, მის ახლობლებს, მეგობრებს, სკოლას.

**მიმოზა ბებია,**
ქალაქის №14 საშუალო სკოლის პედაგოგი.

ᲒᲖᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲓᲘᲜᲔᲑᲖᲔ!

# არ იჩქაროთ, ფრთხილად!

დამაფიქრებელია ფაქტები, რომელიც ესოდენ გახშირდა ჩვენს სათაყვანებელ საქართველოში და, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში. მზე დველობაში გვაქვს ხშირი ავისმომასწავებელი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები. მიმდინარე წელს, იანვრიდან დღემდის არა ერთი ადამიანის სიცოცხლე გამოაკლდა ჩვენს ქალაქსა და რაიონს. მათგან უმრავლესობა, სამწუხაროდ და სავალალოდ, ახალგაზრდობაა, ის ახალგაზრდობა, რომელთა სიცოცხლე ქართველი ერის სამსახურს უნდა მოხმარებოდა...

ყველამ ვიცით, რომ უბედურების თავი და თავი მიზეზი ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაა, გადაჭარბებული სიჩქარეა. რას ვაკეთებთ? სად მივიჩქარით? ნუთუ არ ვიცით, ამას არავითარი სიკეთე არ მოაქვს, გაუაზრებელმა სიჩქარემ კი აუნაზღაურებელი სიმწარე შეიძლება მიაყენოს ჩვენს ოჯახს. განა ცოდვა არ არის დაობლებული ბავშვი, სვეგამწარებული დედა, დაქვრივებული მეუღლე?

თანამემამულენო, ავტომანქანის პროფესიონალო თუ არაპროფესიონალო მძღოლებო, პატივი ვცეთ ერთმანეთს, გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს და, ბოლოსდაბოლოს იმ ძვირადღირებულ ავტომანქანასაც, რომელიც თქვენს მომსახურებაშია. ავტომანქანის ჩქარი ტარება და ჭირითი ვაჟკაცობა ნუ გგონიათ. პირიქით, ვისაც ზესისწრაფით ჩაუქროლებთ ხოლმე, ის უცილოდ აუგი სიტყვებით „გაგიმასპინძლდებათ". ვიცით, მის ადგილზე შენც ქოქოლას დააყრიდი თავხედ მძღოლს. და თუ ასეა, ყველამ პატივი ვცეთ წესრიგს. არც საკუთარ თავს, არც სხვას მივცეთ ნება შიში და ცრემლი თესოს გზებსა და ავტომაგისტრალებზე. საქართველოს არა ჰყავს დასაკარგავი შვილები!

**შ. კიფაია,**
ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

# განცხადება, რეკლამა...

### გიწვევთ სასწავლებლად!

1990-91 სასწავლო წელს ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე მეათე კლასის მოსწავლეებისათვის იხსნება პროფილირებული სწავლების ჯგუფი ქიმიასა და ბიოლოგიაში.

სწავლება ჩატარდება სპეციალურად შემუშავებული პროგრამით. აღნიშნული საგნების მასწავლებლად მოწვეულნი იქნებიან რაიონის საუკეთესო სპეციალისტები. გარდა ამისა, ზოგიერთ საკვანძო საკითხებზე ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი მეცნიერები. ჯგუფს სისტემატურ კონსულტაციებს გაუწევს ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ესართია.

ჩარიცხვა იწარმოებს 1 ივლისამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ახალსოფლის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექციას, ან ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებას.

ტელ: 2—22—42, 2—14—62.

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.**

მომავალი 1990-91 სასწავლო წლისათვის ქ. ზუგდიდის №9 საშუალო სკოლის მეათე კლასის ბაზაზე გაიხსნება პროფილირებული სწავლების ჯგუფი ფიზიკა-მათემატიკის განხრით. მასწავლებლად იმუშავებენ დარგის გამოცდილი სპეციალისტები გურამ ბელქანია, გოჩელი პაპავა და სხვები.

პროფილირებული სწავლების ჯგუფში მიიღებიან 1989-90 სასწავლო წლის ცხრაკლასდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ ფიზიკისა და მათემატიკისადმი.

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას 15 ივნისამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე. მისამართი: მოსაშვილის ქ. №2, ტელ. №2—32—71.

**ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.**

### ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲒᲐᲖᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔ ᲐᲑᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ, ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

1. თხევადი გაზის ბალონი, როგორც მაღალ წნევაზე მომუშავე ჭურჭელი, მკაცრ აღრიცხვაზეა აყვანილი და პერიოდულად დადგენილ ვადებში მოწმდება.

2. ტრესტ „ზუგდიდგაზის" მიერ თხევადი გაზით ბალონების მეშვეობით გაზიფიკაცია დაიწყო 1961 წელს და ძირითადად დამთავრდა 1970 წელს. ტრესტის მიერ ერთ დანადგარზე გაცემულ იქნა ორი ბალონი, რომელიც ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამო გამოსულია მწყობრიდან. გაზიფიკაციის დაწყებიდან ტრესტი „ზუგდიდგაზი" საკუთარი სახსრებით აწარმოებდა უვარგისი ბალონების შეცვლას ახლით.

3. უკანასკნელ პერიოდში ბალონების მომწოდებელი ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ საჭირო რაოდენობის ბალონების მოწოდებას, გამომდინარე აქედან ტრესტს არა აქვს საშუალება მომხმარებელს მიაწოდოს რიგმულად ხმარებისათვის ვარგისიანი ბალონები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ არსებული მდგომარეობა და ჩაგვაბაროთ ხმარებისათვის ვარგისიანი ბალონები.

**ᲢᲠᲔᲡᲢ „ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲒᲐᲖᲘᲡ" ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.**

# ე. ი. ხაზალია

სახალხო განათლების მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი, პენსიონერი, სკკპ წევრი 1950 წლიდან **ელეონორა (გული) ივანეს ასული ხაზალია.**

დაიბადა 1922 წელს სოფელ ორსანტიაში, მასწავლებლის ოჯახში. ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1938 წელს შედის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1941 წელს. ამავე წელს მუშაობას იწყებს ორსანტიის საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თითქმის ნახევარი საუკუნე შეალია ახალგაზრდობის აღზრდის რთულ და საპატიო საქმეს. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ერუდიციითა და საქმისადმი გულმხურვალე დამოკიდებულებით. ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდო. მათ შორის — „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი, „უფროსი მასწავლებლის" წოდება; წლების მანძილზე იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატი, პარტორგანიზაციის მდივანი.

აღარ არის ჩვენს შორის ამაგდარი ადამიანი, გულისხმიერი პიროვნება და კეთილშობილი მოქალაქე. მისი მოულოდნელი გარდაცვალება მოუშუშებელ იარად დარჩება ოჯახს, კოლეგებს, მოსწავლეებს. ვეთხოვებით მარადისობაში გადასულ გულისდო გვრჩება სევდა და გულისტკივილი საუკეთესო მეგობრისა და ამხანაგის გარდაცვალების გამო.

**ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.**

რედაქტორის მაგიერ
**ლ. ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ.**

---

შვილები: ვარდიშა, გოგოლა. ლენტუშა. ემა. ლუარა. თამაზი შამუგიები, დები: ქეთო. ფედოსია, ძმა ტორო, მული თამარა, რძლები ლენა ფაცაცია, ქეთო გაბელია. სიძეები: ილია ქირია, ალიკო გვილავა, ჯუმბერ შალამბერიძე, შვილიშვილები: ზური. სერო ფიფიები. სლავა. ბაჩუკი. ნინო გვილავები გელა. ლელა ქირიები. რუსლანი. ირაკლი შალამბერიძეები. ვანო. ბაჩანა შამუგიები. დისშვილები. ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან
**ნორა (პარასკევა) სესიას ასულ მეუია-შამუგიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. ცაიში.

---

დედა შურა, ძმები სოსო, ომარი გარმელია. და მიმოზა. ძმისშვილი დემნა. დისშვილები: პაპუნა, ნუკრი გოროზიები, ბიძაშვილები: კარლო, ლინა. მზია, დეიდები: ლუბა. ლიდა. დეიდაშვილები: ოთარ ფაცაცია, ლიანა. დაათო ალფენიძეები. მამიდაშვილი ბონდო ცაცუა, ბიცოლა ნორა, რძლები: ლამზირა. დალი. თალიკო. ნინო. მარინე. სიძეები გივი ბერიშვილი. იუზი ხვიტია ოჯახებით იუწყებიან
**გიგლა (ანზორი) დომენტის ძე ხოსელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8, 9 ივნისს. დაკრძალვა 10 ივნისს, გამოსვენება 18 საათზე, პუშკინის 115.

---

მეუღლე დარეჯანი. შვილები: ჯილდა, კესო. ელისო. ძმა გენო. ძმისშვილები: ფარსადანი, ბესიკი. ლელა. მამიდები: ნათელა. თალიკო ყალიჩავები. სიდედრი მაიკო. სიმამრი კაკო ფიფია. ცოლისძმა ალიკო, ცოლისდა თინა რძლები ნელი. ნუნუ. ნანა. სიძეები ხიდაო ჯალაღონია, ნოდარ ფუხაევი, მურმან გაბუნია. გია შენგელაია. დეიდა ფუფული ჯაიანი, ბიცოლები ლუბა, ანეტა ფაცაციები. ლიძი. ეთერი. ქსენია შენგელიები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6. 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს. გამოსვენება ინგირი, გამარჯვების ქ. 38 5 საათზე.

---

მეუღლე გული ნაჭყებია. შვილები: გია. ვასიკო მაქაცარიები, დისშვილი დათო ჯანაშია, სიდედრი მარო შენგელაია. მამიდები: ლენა. თალიკო მაქაცარიები, ცოლისდა ნათელა ნაჭყებია, ქვისლი გენო ბეჟვაია, ბიცოლები: ნუცა კვირკვია. ვერა მაქაცარია. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, ცოლისდისშვილები ოჯახებით იუწყებიან
**გიგლა გრიგოლის ძე მაქაცარიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს 5 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. რუსთაველის 153.

---

სიდედრი ნელი, სიმამრი ლევთერი. ცოლისდები ნანი. ნინო ჯაბუები იუწყებიან სიძის
**ბორის პალიკოს ძე სიჭინავას**
გარდაცვალებას.

---

დედა ბედიშა. მამა ვენედი. მეუღლე თინა, შვილები: ნანა. ლაშა. მანანა, დები: ნაზი. ნარგიზა. ძმა თემური. ბაბუა ჯოტო გელენავა. სიდედრი ვენერა. სიმამრი არტემი ცობეხიები. სიძეები: რამინი თორდია. რეზო დარასელია, რძლები: მერი. ლენა, დენიზა. დისშვილები: გოჩა. კობა, თეა თორდიები. გია. ჯონი დარასელიები, ძმისშვილები: ნინო, ნონა, ხვიჩა. ბიძები ვანია სამუშია. დათო. გონერი გელენავები. ინდიკო. გივი. ჟორჟი. ზაური, დეიდები: ფლორე, ნათიკო. გულნარა. ბიცოლები: მარგო ზარანდია. ცუცა. ჟუნა. ეთერი. ბიძაშვილები: მევლუდი, დალი ბიჭიები. მამიდაშვილი ნონა სამუშია, ცოლისძმები, ცოლისდა იუწყებიან
**ნუგზარ ვენედის ძე ბიჭიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 ივნისს. დაკრძალვა 7 ივნისს კახათში..

---

მეუღლე ვალოდია. შვილები: იზო. ნუნუ. ნატო. ნინო. შირიმი, ძმები ბოჩო, გული აფხაზავები. მაზლი გურამი კოხია. დედამთილი ოლია. მამამთილი ჩაქა. რძლები: ინგა. ლალული. ნელი. ლიანა. დოდო, შვილიშვილები: კლავდია. ეკა. ქრისტინა, ლექსო, სალომე. სიძეები ოთარი კუტალია. ომარი ბელქანია, ზური მურღულია. ძმისშვილები: იამზე. ველი. როზა ბორისი. ამილო, მალხაზი. ფატიმა აფხაზავები. დეიდა რაისა ქარჩავა. დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან
**ეთერ (ნურა) ვასილის ასულ აფხაზავა-დარასელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. ახალსოფელში.

---

ორსანტიის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან ამაგდარი პედაგოგის, შრომის ვეტერანის
**ელეონორა (გული) ივანეს ასულ ხაზალიას**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქალაქ ზუგდიდის არქიტექტურის განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
**გიგლა გრიგოლის ძე მაქაცარიას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ეთერი. მამა ლულუნი. შვილები: ზაზა. ლაშა, დები: ლამზირა. მზევინარი. სიძეები: ლონდერ შედანია, მერაბ ჯოჯუა. დისშვილები: ხათუნა. დათო. სუზანა. სალომე. დეიდები, ბიძები. მამიდა, დეიდაშვილები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ბიცოლები იუწყებიან
**ზაურ ლულუნის ძე მანიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 9 ივნისს. დაკრძალვა 10 ივნისს ზუგდიდში, გამოსვენება სარაჯიშვილის ქ. 12-დან.

---

მეუღლე ნონა. შვილი ლანა. დედა ნათელა. მამა პალიკო. ძმა ჯემალი. დები: ნანი. მარინა. რძალი მადონა მალანია. სიძე მერაბი ჯიჯავა. დისშვილები: ეკა. მაკა. მალხაზი. სიდედრი ნელი. სიმამრი ლევთერი, ცოლისდები: ნანი. ნინო ჯაბუები. მამიდა ლამარა. ბიძები ჯულელი. ლუდა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**ბორის პალიკოს ძე სიჭინავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7. 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. დარჩელში.

---

ძმა ნიკოლოზი. ძმისშვილები ნანა, ნონა. ნინო. კახაბერ კვარაცხელიები იუწყებიან
**ბიჭიკო ალექსის ძე კვარაცხელიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 ივნისს სოფელ ნაკიფუში (წალენჯიხის რაიონი)

---

ძმები: ვალოდია. კუკური ბულიები. მეგონა აფხაზავა, რძლები: აზა. ნარგიზა. ნათელა, ლუბა მარინა. ძმისშვილები: ნანა. გულნაზი. მაია, თორნიკე. გია. თენგიზი ბულიები, დოჩი აფხაზავა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან
**ჟიჟინო არჩილის ასულ ბულიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6 ივნისს. დაკრძალვა 7 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 115.

---

ადგილმრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების კოლექტივი იუწყება გენერალური დირექტორის
**მურთაზ მიხეილის ძე ყალიჩავას**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ლუბა. დები: კლარა. ტატი. ციალა, ძმა კარლო იუწყებიან
**კოტე თედორეს ძე აბსანძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 ივნისს. დაკრძალვა 9 ივნისს დარჩელში.

ИНДЕКС 66507 ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—2-25-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-09

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდისსტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შე. №2907